ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის და  შუხუთის,

ნიგოითის, ჭყონაგორას, ჩოლობარგის, ქვიანის და ჯაპანის ადმინისტრაციული

ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატის ზაზა წულაძის მიერ

2025 წლის 1 იანვრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული

მუშაობის შესახებ ანგარიში

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

სოფელი, თემი, დაბა:  ნიგოითისა და შუხუთის ადმინისტრაციული ერთეული

შეხვედრის ჩატარების თარიღი:15. 10. 2025 წელი 12:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე და შუხუთის, ნიგოითის, ჭყონაგორას, ჩოლობარგის, ქვიანის, ჯაპანის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატი ზაზა წულაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი და ნიგოითის ადგილობრივი მოსახლეობა. მაჟორიტარი დეპუტატი ზაზა წულაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ადგილობრივ მოსახლეობას, რომ გამონახეს დრო მასთან შესახვედრად. ამის შემდეგ დეპუტატმა აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი, რომელიც ითვალისწინებს საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ჩაბარებას.

მან აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში  მოწვეული და ჩატარებული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის 8 სხდომა. განხილულ იქნა 21 საკითხი. დამტკიცებულია საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის 2025 წლის სამუშაო გეგმა. სხდომებზე მოხდა, როგორც სამუშაო გეგმით გათვალისწინებული, ასევე მიმდინარე საკითხების განხილვა. კომისიამ, როგორც მერიის სამსახურებიდან, ასევე საკრებულოს სხვა კომისიებიდან ინიცირებული პროექტები განიხილა, შეისწავლა და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

კომისიის მიერ შესწავლილი იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საპრივატიზაციო გეგმასა და ნუსხაში შესატანი ქონებები. ასევე, რეკომენდაცია მიეცა მერიის შესაბამის სამსახურებს, რათა მიემართათ შესაბამისი სამინისტროსთვის, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული უსახური ქონებები, რომლებიც იმყოფება ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე, საბოლოოდ მოეხდინათ მათი პრივატიზება ან გადმოცემა მუნიციპალიტეტისათვის, რომლებიც აუშნოებს და ამახინჯებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იერსახეს და ასევე საფრთხის შემცველია მოსახლეობისათვის.

კომისიის მიერ ასევე შემუშავებული იქნა არასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი. განხილულ იქნა და სხვადასხვა სახის შუამდგომლობები გაეწია არაერთ განცხადებას. არაერთი სამუშაო შეხვედრა გაიმართა მოსახლეობასთან სხვადასხვა პრობლემური საკითხის სწორად წარმართვის მიზნით.

კომისიის მიერ  განხილულ იქნა შემდეგი სამართლებრივი აქტების პროექტები:

**განკარგულების პროექტი**- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“

**განკარგულების პროექტი**-„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, აა(იპ) „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის“ (ს/ნ 402157330) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

**განკარგულების პროექტი**-„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, აა(იპ) „ონკოქეა ჯორჯიასთვის, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

**განკარგულების პროექტი**-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ,,სსიპ ,,სურსათის ეროვნულ სააგენტოსთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

**განკარგულების პროექტი**-„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული  ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით, განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

**განკარგულების პროექტი**-„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“-სთვის ( ს/კ 433650462) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“

**განკარგულების პროექტი**- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირობიანი აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“

**განკარგულების პროექტი**-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ და ა. შ

**დადგენილების პროექტი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“

**დადგენილების პროექტი**-„ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“

**დადგენილების პროექტი**-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების ნორმების-ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დამტკიცების შესახებ“

**დადგენილები პროექტი**-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ და ა.შ

საკრებულოს, ბიუროსა და ფრაქციის სხდომებზე მაჟორიტარი დეპუტატის ზაზა წულაძის მიერ დაყენებული იქნა პრობლემური საკითხები შუხუთის, ნიგოითის, ჭყონაგორის, ჩოლობარგის, ქვიანის, ჯაპანის ადმინისტრაციულ ერთეულებში. დეპუტატის განმარტებით,  სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილება შეძლებისდაგვარად მოხდა მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამის ფარგლებში.

დეპუტატის თქმით, როგორც მაჟორიტარი ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა მისი სადეპუტატო უფლებამოსილების პერიოდში შეძლებისდაგვარად გადაწდეს ყველა ის ინფრასტრუქტურული და სოციალური პრობლემა, რომელიც აწუხებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, აქტიურ მუშაობას გააგრძელებს, რათა მომდევნო წლები უფრო წარმატებული და ნაყოფიერი იყოს ადგილობრივი მოსახლეობისათვის.